

თბილისში 19 საფეხმავლო ხიდის მაგივრად ბებრა-გადასასვლელი მოწყობა



თბილისში არსებული 38 საფეხმავლო ხიდიდან 19-ის დემონტაჟი განხორციელდება და მათ ნაცვლად, მუქნიშნებით რეგულირებული ქვეითთა ერთდონიანი გადასასვლელი მოწყობა იგეგმება.

როგორც მერმა აღნიშნა, დღესდღეობით, ფეხით მოსიარულეთათვის საფეხმავლო ხიდებით სარგებლობა არაკომფორტული და არაპრაქტიკულია.

„სარეაბილიტაციო სამუშაოებს როდესაც ვახორციელებთ, დიდი ყურადღება ეთმობა ქვეითთა მოსიარულეთათვის განსაზღვრულ ადგილებს, მათ მოწესრიგებასა და ე.წ. ბებრა გადასასვლელებს. ამ სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში, მოგვიწევს არსებული საფეხმავლო ხიდების დემონტაჟი, რომელიც საკმაოდ მოუხერხებელია. არ არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული. ჩვენ გვაქვს კარგი მაგალითი, შარტავაზე, მერიის წინ ხიდი სრულიად უფუნქციოა. საჭიროა ხიდების დემონტაჟი განვახორციელოთ ყველა იმ ადგილზე, სადაც შესაძლებელია“, – განაცხადა კახა კარაძემ.

თბილისის მერმა ინფრასტრუქტურის განვითარების საქარაქო სამსახურისა და ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელებს დაავადა, აღნიშნული მიმართულებით მუშაობა დაიწყონ.

„ყვედგან, სადაც სამუშაოებს ვახორციელებთ, მაქსიმალური ყურადღება ეთმობა ქვეითთა უსაფრთხოებას და კომფორტს. ამიტომ, მინდა, დავავადო ინფრასტრუქტურის განვითარების საქარაქო სამსახურისა და ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელებს,

ერთობრივად დაიწყო ამ ხიდების დემონტაჟი“, – აღნიშნა
დედაქარაქის მერმა.